№ 48

პარასკევი, 5 მარტი, 1899 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 48

პარასკევი, 5 მარტი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თავადნი გიორგი და დავით ბარათაშვილნი, კნეინა მარიამ ბარათაშვილისა, თავადის ასული ბარბარე ბარათაშვილისა, იასე ქაიხოსროს ძე სოლაღაშვილი და კნ. მარიამ ნიკოლოზის ასული ბარათაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ოთხი დედისას, მეხუთე დისას და უკანასკნელი დედამთილისას

**კნეინა სოფიო ქაიხოსროს ასულის ბარათაშვილისას.**

მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ შაბათს, 6 მარტს, ალბულახში. (1—30—1)

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

**სახელოსნო-სამკერვალო**

(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12).

მსურველთ შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჯ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პრიტასჯვაზი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. ბურკა. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ- შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. მაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ზ. ა. ნავასარდიანი—$6\frac{1}{2}$—7 საათ

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ებრძანათ: ჰოდპოლკოვნიკობა: ზაქოს მე-153 ქვეითა რაზმის კაპიტანს მაყაშვილს, ტფილისის სამაზრო სამხედრო ზეგრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს, კაპიტანს ელენტს; კურინის მე-79 ქვეითა რაზმის კაპიტანს მანსურაძეს, გორის ზურგის რაზმის კაპიტანს თავ. ამილახვარს.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 4 ს მარტს, თავად-აზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრებას მოხსენდა სარჩიელი სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობისა, რომ შუამდგომლობა აღიძრას მთავრობის წინაშე გამიჯვნის საქმის აჩქარებისათვის. შემდეგ მოხსენდა გორის მაზრის თავად-აზნაურთა სარჩიელი, რომ იშუამდგომლოს თავად აზნაურობამ სახელმწიფო ბანკში კრედიტი ჰქონდეს თავად აზნაურობასაც, როგორც შიდა რუსეთშია. ბოლოს მოხსენდა სარჩიელი რამდენისამე თავად-აზნაურისა, რომ თავად-აზნაურობამ დააწესოს რამდენიმე სტიპენდია მეფე ერეკლეს სახელითა. კრებამ გადასწყვიტა ამორჩეულ იქმნას თვითეულ ამ სამის საგნისათვის ცალ-ცალკე კამისია, რომელთაც დაევალოს თვითეულისათვის დავალებულ საქმის გამორკვევა ყოველის მხრით და მახლობელ საგანგებო კრებისათვის შეადგინოს ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება და წარუდგინოს კრებას განსახილველად და ჯეროვანის გზის მისაცემლად. ამ სამის საგნისათვის სამი ცალკე კამისია იმა კრებაზედვე უკვე ამორჩეულ იქმნა.

*** გუშინ, 4 მარტს, კავკასიის მთავარ მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ა. ფრეზემ დაათვალიერა სადეზინფექციო სადგური. მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელთან ერთად იყვნენ ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი, ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი, გამგეობის წევრი თავ. ა. მ. არღუთინსკი და სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორი გ. ნ. სტეფანოვი.

*** ქალაქის გამგეობის კრებამ განიხილა ტფილისის გუბერნატორის მოადგილის მიწერილობა შესახებ იმისა, რომ ამიერიდგან ქალაქის ფული და საბუთის ქაღალდები ინახებოდეს სახელმწიფო ბანკში. გარდა ამისა გუბერნატორის მოადგილემ მოსთხოვა ქალაქის გამგეობას პასუხი, რად ინახებოდა აქამდე ფული კერძო ბანკებშიო.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ამიერიდგან ფული შეტანილ იქმნეს ხოლმე სახელმწიფო ბანკში და რადგანაც კერძო ბანკში შენახულ ფულის სარგებელი ნაჩვენებია საბჭოს მიერ დამტკიცებულ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში, ამიტომ ზემოხსენებული გარდაწყვეტილება უნდა წარედგინოს ქალაქის საბჭოს. რაც შეეხება საბუთის ქაღალდებს, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა შეატყობინოს გუბერნატორის მოადგილეს, რომ საბუთის ქაღალდები ინახება ტფილისის საგუბერნიო ხაზინაში, ფული-კი დიდი ხანია, რაც კერძო ბანკებში ინახებოდა, ამასთანავე სარგებელი ნაანგარიშევი იყო ხოლმე სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში და ეს ხარჯთ-აღრიცხვა მტკიცდებოდა ხოლმე საბჭოსა და ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მიერ.

*** ოთხშაბათს, 3 მარტს, მოხდა კრება ქალაქის გამგეობისა. გამგეობამ დაადგინა: 1) რადგანაც სხვა-დასხვა მიზეზისა გამო ქალაქში 10—15 სახლი ჯერ არ არის დაფასებული, ამიტომ უნდა მიიწვიონ დამფასებლები ამ სახლების დასაფასებლად და ეს დაფასება უნდა წარედგინოს ქალაქის გამგეობას 20 მარტამდე. 2) რადგანაც ინჟენერმა ეგიაზაროვმა. რომელიც ექსპერტად იქმნა მიწვეუ-

## ფელეტონი

### შოთას განძიძება.

(შემდეგი *)

ისტორიით თამარი ორგზის დაგვირგვინდა, ერთხელ მამის ჟამს და მეორედ მისის სიკვდილის შემდეგ.

გიორგი მეფეს „სხვა ძე არ ესვა, მართ ოდენ მარტო ასული“. 1156 წელს გარდაიცვალა დავით IV და დაუტევა მცირე წლოვანი ძე დიმიტრი. სამეფოს მმართველად დაინიშნა დავითის ძმა გიორგი. დიმიტრი რომ წამოიზარდა, ტახტი ითხოვა. გიორგიმ უარი შეუთვალა. შეიბნენ ბიძა და ძმისწული. უკანასკნელი დამარცხდა და მოკლულ იქმნა (1777 წ.) გიორგიმ, რომელიც უკვე სიბერეში შესულიყო, ტახტის მემკვიდრედ და მეფედ გამოცხადა თამარი (1779 წ.).

შვიდთავე სამეფოდგან შემოჰკრიბა ერი, მოიწვია დედოფალი ბურდუხან, დედა თამარისა, და თანაგანზრახვითა და გამორჩევითა მათითა და განგებითა ზენისა მეფედ ჰყო თამარ, ნათელი და ბრწყინვალებაჲ, გვირგვინი და მანიაკი ყოველთა მეფეთა და კელმწიფეთა, თანა დგომითა პატრიაქთა, ეპისკოპოსთა, დიდებულთა, იმერთა და ამერთა, ვეზირთა, სპასპეტთა და სპასალართა, დასვა მარჯვენით თვისსა მეფე და დედოფალი შემკული და შემოსილი პირადპირადად ფესვედითა ოქროვანითა, ბისონითა და ზეზითა. და დაადგა თავსა გვირგვინი ოფაზის ოქროისა, აღმკული იაკინთითა და სამარაგდოთა მიერ. მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა. თვით მეფემან, მფიცებელმან ერთგულობისა და ერთსულობისა და ცრემლით მლტოლვარემან შეჰვედრა იგი ღმერთსა, აკურთხა კურთხევითა აბრამიანითა, და კურთხევა მამისა შვილსა ზედა საყვარელსა, ნარნარსა და მშვიდსა „მზეებრ სჩანს მოდღეინდელად დღედმდე“.

მეორე კურთხევა და ცხება ასე იყო.

თამარს მამა მოუკვდა ვნების მსგეფესს. შემოკრბენ სამეფოს დიდებულნი და რუსუდანის პირით სთხოვეს „ყრმასა, ხოლო გონებით არა ყრმასა, არამედ ცნობიერებით სრულსა“ ეტვირთა მეფობა და კურთხევით გვირგვინოსან ქმნილ იყო და დაეპყრა „კიდენი ქვეყნისანი და ეპყრა ზღვითგან ზღვამდე და მდინარითგან კიდემდე სოფლისათ.“ თამარმა ნება დართო.

მოვიდნენ მთავარნი, დიდებულნი, პატრიაქი ყველა ეპისკოპოსებით და სამღვდელო კრებულით, „აღსვეს და აღამაღლეს საყდართა ზედა სამეფოთა მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა ელვარება, და მზეებრ მაშუქებელი სხივ-კამკამებათა. მოიტანეს გვირგვინი. აღიმაღლეს ხმა მგალობელთა „ძლევით გვირგვინოსნობისა“, შეასხეს ქება, უგალობეს და აკურთხეს. ქუთათელმა ანტონი საღირისძემ თავზე გვირგვინი დაადგა, კახაბერ კვირიკისძემ შემომოარტყა ხმალი. შემდეგ ჰკრეს სპილენძ ჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა. იყო ზარი და ზეიმი, ქალაქსა შინა სიხარული და მხიარულება, შვება და გამოსვენება, იმედი უიმედოქმნილთა და სასოება უსასოქმნილთა, თაყვანი სცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდთავე სამეფოსათა და დაიპყრა თვითეულმან თვისი ადგილი... იდიდა თამარ შვიდ-მნათობიერი, განმმზადებელი სიბრძნისა შვიდისა სვეტთა, შვიდგზის დღესა შინა ღვთის მადიდებელი... შვიდთა მნათობთა (კრონოს, ზევს, აფროდიტე, აპოლონ, ერმი, ირაკლი და არეა) მიწიერ სფეროს შემრთველი... სულის ხუთთა საგრძნობელთა შვიდ მყოფელი.... და აღებაძვა ზენასა მნათსა ქვეყნა ესე მნათი უცხო შვენებითა, სიბრძნითა, მეცნიერებითა, მპყრობელობითა, „მზეებრ უხვებითა მოფენად სწორებით მართალთა და ცოდვილთა“ *) და უღიქნავად სატანასი და გველისა განსწავლა ხუთნივე საგრძნობელნი და ღვთის შიშით შეიზღუდა ხედვა, ყნოსა, სმენა, გემოსხილვა და შეხება. და ესრეთ მარად წარმდინარე ესე საწუთო და ქვედამზიდველი მზგავსად სოლინართა, შეუხებელმან მიწისამან, უვნებლად წარიხადნა. და ესოდენთა დიდებათა და სიმდიდრეთა და სიმაღლესა ესრე იყო, ვითარცა ყოვლად არარა ჰქონებოდა, და უდარეს და უგლახაკეს ყოველთა კაცთა შეერაცხა თავი თვისი... აღიმაღლა მაღლად გონება და სულით განცადა სიდიდე საქმისა მისდა ხვედრებულისა. ვითარცა ორბმან, ფრთე მაღემან, აღიფრინა ზე და მიმოავლინა გუგანი სახედველთანი. სივრცითა გონებისა შემოიკრიბა საღმრთო და საერო წესნი და განგებანი, იწყო განგებად ვითარ მოჭბერგიდა სული, მარტო ოდენ ხილვით შეემეცნა მას წრფელნი, დრკუნი გვლარძნილნი, უმწეონი, ერთგულნი ორგულნი და თვისის სიბრძნით ყოველთა ზედა დაასხა წყალობა უხვად, რათა ჟამსა საქმეთასა ერთგულნი, ერთგულობითა მადრიელობდენ, ხოლო დრკუნი და განდრეკილნი გულითა უსიტყველ იყვნენ მიგებისათვის წყალობათასა, *) განახვნა საუნჯენი მამაპაპათანი და განფინნა ყოველთა ზედა მოწყალებანი და შეწყნარებანი გლახაკთა ხელით „რიცხვი ურიცხვი და ჰამარი უამრავ“ წარუგზავნა საყდრებს, მოვალენი დაიხსნა ვალთაგან, ობოლთა და ქვრივთ მისცა კმასაყოფელი. ობოლნი დააქორწინა. ღონიერ ყვნა გლახაკნი და მდიდარნი მდიდარ. შვიდთავე თემს არა დაუტევა კაცი, რომელსა ზედა არა უხვებით მიჰფინა წყალობა და სამართალი.“ **).

გარნა ახალგაზდა მეფეს ქმარი არა ჰყვანდა, რადგან „არა სადა დაებადა ღმერთსა სწორი მისი“, თუმცაღა გაჭრილნი ამის მზისათვის მიჯნურნი მრავალნი იყვნენ და მისნი მხილველნი ბნდებოდნენ; თათართა ბატონიშვილნი მზა იყვნენ უარეყოთ მაჰმადი, ოღონდ თამარს ქმრად ამოერჩია, ხელდებოდნენ მისთვის არა თუ შორს მყოფნი, არამედ „თვით ახლოს მყოფა ესე ვითარი აქვნდა ტრფიალება და სურვილი, რომელ არცაღა უღირ-

*) იხ. „ივერია“ № 47.

*) შეადარეთ: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების“.

*) შეადარე: „უხვი ახსნილსა დაამბამს...“ „უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია“ და სხ.

**) შეადარე ტაეპნი 20—25-მდე.

ლი აგურის ქარხნების დასაფასებლად, ჯერ არ წარადგინა დაფასების სიები, ამიტომ დაევალოს დამფასებელ კომისიის თავმჯდომარეს მოიწვიოს ინჟენერი და 15 მარტამდე წარდგენილ იქმნეს დაფასების სიები. აგრეთვე 25 მარტამდე ქალაქის გამგეობას უნდა წარედგინოს ყოველივე საჭირო ცნობები ქალაქის მამულების დაფასების შესახებ.

⁂ ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი კრება მოხდება ორშაბათს, 8 მარტს. კრებამ უნდა განიხილოს ის საქმეები, რომელთა განხილვაც წარსულ კრებაზედ ვერ მოასწრო და ამას გარდა ორიოდე სხვა უმნიშვნელო საქმეც. ამავე კრებაზე უნდა არჩეულ იქმნას ქალაქის მოურავის მოადგილე.

⁂ რადგანაც ამ ბოლოს დროს ქალაქში ყვავილი შემცირდა, გადამდებ სენით ავადმყოფთა მეორე თავშესაფარი განთავისუფლებულ იქმნა ყვავილსთ ავადმყოფებისაგან 6 მარტიდგან ამ თავშესაფარში დააწვენენ შავის სახადით ავადმყოფთ.

⁂ „კავკ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: ამ ახლო მომავალში სახელმწიფო საბჭო, კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის მონაწილეობით, განიხილავს ახლად შემუშავებულ პროექტს კავკასიის საერობო დარაჯის გადაკეთების შესახებ.

⁂ როგორც „კავკ.“ ს სწერენ, 21 თებერვალს ზაქათალაში კრება ჰქონიათ ადგილობრივ მასწავლებლებს იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ როგორ უნდა იდღესასწაულონ 26 მაისი, როდესაც 100 წელიწადი სრულდება ა. ს. პუშკინის დაბადების დღიდგან. ერთს ადგილობრივ მასწავლებელს, დ. ლ. ტატიშვილს აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ზაქათალაში პუშკინის სახელობაზედ საკვირაო სკოლა დააარსოს.

⁂ ოზურგეთიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ საბოლოოდ განიხილა პროექტი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის გადაკეთების შესახებაო. ეს საგანი ახლო მომავალში უმაღლესს მთავრობას წარედგინება განსახილველად.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“-ა სწერს: „ჩვენ მივიღეთ წერილი თავ. ზ. გ. ერისთავისაგან, რომელიც ურჩევს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას:

1, გადააკეთოს ტფილისის სათავად აზნაურო სკოლა საშუალო სასოფლო-სამეურნეო და სატეხნიკო სასწავლებლად და გადაიტანოს იგი სოფ. სკრაში.

2, ბანკის დამფუძნებელთა ფული მოახმაროს ამ სკოლის მოწყობას და სკოლისათვის შენობის აგებას.

3, სკრის მამული, აგრეთვე მოსწავლეთა დამხმარებელი თავად-აზნაურთა საზოგადოების ორი სახლი, გადასცეს თავად-აზნაურობას.

4, ამ სასწავლებლის შენახვას მოანდომოს ბანკის მოგება და ქარ ასლისა და სახლების შემოსავალი.

5, ქარვასლისა და სახლების ვალის გასტუმრების შემდეგ, გადააკეთოს ხსენებული სასწავლებელი უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლად“.

⁂ როგორც გაზ. „მწყემსი“ იუწყება, იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრებები მოხდება ქალ. ქუთაისში 16, 17 და 18 მარტს.

⁂ გაზ. „Черн. Вѣст.“-ი იუწყება, რომ დაბა სოჭაში აზრადა აქვთ დააარსონ ა. ს. პუშკინის სახელობაზედ წიგნთ-საცავი და სამკითხველოო.

⁂ როგორც გაზ. „ტფ. ფურ.“-ი იუწყება, ოზურგეთის ქალაქის მოურავმა აცნობა ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტს, რომ ოზურგეთის ქალაქის თვით-მმართველობამ დაადგინა გადასდოს ყოველ წელიწადს 200 მანეთი ტფილისში განზრახულ საკომერციო სასწავლებლის სასარგებლოდ.

⁂ გაზ. „Кавк. Сельск. Хозяйство“-ში ვკითხულობთ: „გაზეთები იუწყებიან, რომ სასამართლომ გაარჩია საქმე მოსკოველის ერთის ვაჭრისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ ქუთაისში 2,000 ბოთლი ღვინო იყიდა 20 კაპ. ბოთლი და ამ ღვინოს 2 მანეთადა 80 კაპეიკად ჰყიდდა შემდეგის სახელით „რუსული შამპანიური ღვინო, პრინცის ოლდენბურგელის ფირმისა“. საჭიროა ჩვენებურმა მემამულეთ ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას: თუ შესაძლებელია 20 კაპეიკიანი ღვინო 2 მან. 80 კაპეიკად გაიყიდოს, მაშასადამე იგი ღვინო გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე მას ადგილობრივი მემამულენი ჰყიდიან. ეს მეტი ფული ვაჭარსა რჩება და ამ ნაირად დიდ ზარალს აძლევს როგორც მ[illegible]ლეს აგრეთვე მომხმარებელს. ეს მ[illegible]ე მაგა[illegible]ითი ერთხელ კიდევ თვა[illegible] საჭ[illegible]ოდ ჰყოფს ღვინის მაზანდის ს[illegible]ქმის [illegible]ოწყო[illegible]ას. ადგილობრივ ღვინო[illegible] მ[illegible] მცირე ფასი აქვს, საწყობებში კი იგივე ღვინო 15—20 ჯერ უფრო ძვირად იყიდება“.

⁂ „კავკას“ ს სწერენ: გორის მაზრის სოფ. ედისის, ხოჯას, ზემო-ქაბუსტას, ზემო-ერმანის, ქვემო-ერმანის და შუა-ერმანის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ სოფ. ედისში ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა იქმნას დაარსებულიო. მცხოვრებელნი თანახმანი არიან სკოლის სასარგებლოდ კომლზედ მანეთი გაიღონ და გარდა ამისა მისცენ სკოლას წელიწადში 3 საჟენი შეშა და დარაჯი.

⁂ ამას წინად ახალციხეს გარდაიცვალა ყველა ქართველთაგან პატივცემული ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი პეტრე ალუშოვი, ღრმად მოხუცებული კაცი, საქართველოს ერის ისტორიის და მწიგნობრობის კარგად მცოდნე და დიდი მოსარჩლე ქართველ კათოლიკების გვაროვნობისა. ადრე ეს მოძღვარი სომხის ტიბიკონზედ იდგა და შემდეგ ლათინის ტიბიკონზედ გადავიდა.

⁂ ს. დრანდა, (აფხაზეთი). პირველ ოქტომბრიდან შაფის ეკკლესიის მღვდელი მამა დ. ხუციევი სადღაც გაემგზავრა და ოჯახობას და ნაცნობებს უთხრა, რომ ხუთი დღის ვადით მივდივარ სამსახურის გამო და მალე[illegible] დავბრუნდებიო. აგერ სამ კვირაზედ მეტია მას შემდეგ, მაგრამ მღვდელი არა სჩანს და არც რამ ცნობა არის მის შესახებ. როგორც მრევლი, აგრეთვე მღვდლის ოჯახობა საგონებელში არიან ჩავარდნილნი და არ იციან, სად ეძიონ მღვდელი და როგორ მოიქცნენ.

⁂ ტფილისში მცხოვრებმა ბეთალემა ბ-ნმა ტომაროვმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე იმის შესახებ რომ ნება მიეცეს მას გამართოს ტფილისში საქალების დაჭრის შესასწავლი კურსები.

⁂ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ზოლდაციის უფროსმა ზედამხედველმა ბ-ნმა ჯაბადარმა 3 მარტს წარუდგინა ქალაქის გამგეობას სია იმ სახლებისა რიყეზე, რომელნიც ყოველ წელიწადს წყალ-დიდობა ზარალს აყენებს ხოლმე.

⁂ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ ნება დართო წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკკლესიის სამზრუნველოს შეკრებილის 9 ათასის მანეთიდგან 5000 მანეთი მოახმაროს ადგილის დაგეგმას და ახალის ეკკლესიის შენობის დაწყებას. სამზრუნველო ამ ახლო მომავალში შეუდგება ეკკლესიის აგებას. როგორც გამოანგარიშებულია, ეკკლესიის აგებას სამრეკლოთი დასჭირდება 25 ათასი მანეთი, უსამრეკლოდ 18 ათასი მანეთი.

⁂ გორის მაზრიდგან სწერენ გაზ. „კავკ.“-ს: ამ დღეებში რკინის გზის ლიახვზედ მოდიოდნენ გლეხი გურასპიშვილი, უფროსი მუშა მიხეილ ეგალაძე და მეორე მუშა ზაქარია ბალიაშვილი. მათთან მივიდა ექვსი უცნობი ოსი. გლეხმა გურასპიშვილმა უთხრა ოსებს, ლიახვიდგან გადით, რადგანაც მატარებელი მოდისო. ოსები მოურიდლები იყვნენ და გურასპიშვილის სიტყვებს ყურადღება არ მიაქციეს, ბოლოს ჩხუბი აუტეხეს, რომლის დროს ერთმა ოსმა ამოიღო ხანჯალი, დასცა მკერდში გურასპიშვილს და იქვე წუთისოფელს გამოასალმა. შემდეგ ოსებმა სიბნელით ისარგებლეს და სადღაც დაიმალნენ.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ქალაქის ბაღების გამშენებელ კომისიას აზრადა აქვს გააშენოს პატარა ბაღები მთა-წმინდის მოედანზედ და ნემეცთა სასაფლაოსთან ავჭალის ქუჩის მახლობლად. ამ მოედნებზედ არსებული წყლის ორგანოები, როგორც აღმოჩნდა, უშლის მოედნებზედ ბაღების გაშენებას, ამიტომ კომისიამ სთხოვა გამგეობას, ეს ორგანოები სხვა ადგილას გადაიტანეთო. გამგეობამ უკანასკნელს კრებაზედ, განიხილა-რა ეს თხოვნა, დაადგინა მთა-წმინდის მოედანზედ არსებული ორგანო იქავე დასტოვოს.

⁂ წარსულ 1898 წელს ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებას მოგება ჰქონდა 103 ათასი მანეთი.

⁂ 2 მარტს, ღამის $12^1/_2$ საათზედ, ალექსანდროვის ვიწრო ქუჩაზედ გალემოვის სახლში, აზნაურის მაჭავარიანის ცოლმა შეცდომით დალია კარბოლოვის სიმჟავე. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

—

სთა უღირსობისა აქვნდა კდემა და სირცხვილი, არცაღა თვისთა თვისობისა გავლენა. შარავანდნი თამარის ნათელთა ბრწყინვალებისანი ეფინებოდის იატაკსა ამის მიწისასა და ყოველს აღძრვიდა სურვილად მისსა. მისის ბრძანების შესასრულებლად „უსწრობდა ბერი ყრმასა და ყრმა ბერსა, პატრონი ყმასა და ყმა პატრონსა“.

როგორც ვხედავთ, სული და გული ამ დროისა თამარ მეფეა. მას შეჰხარიან ყველანი. ერნი, ბერნი, წვრილნი, დიდნი მას უგალობენ, მას ამკობენ, მის მზეს ფიცულობენ, მისთვის ზნდებიან და კვდებიან.

ი. შავთელიცა და შ. რუსთაველიც თავისს ქმნილებებს ერთნაირად იწყობენ.

შავთელი: „თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა...

ძე ადამისი, მსგავსად ამისი, ვისცა ეხილვოს, მამცნონ, სად არი?
ღმერთმან სამოთხით, მოგვცა სამოთხით ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი;
აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრით ჩრდილომდის ჰპოონ, სად არი!
ზესკნელს ქვესკნელით და გარესკნელით უკანასკნელით უფსკრულ, სადარი!
ვიწყოდა ქებად, ძნელ შეკადრებად, მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი:
მხნე, ლმობიერი, ქველი, ძლიერი, ჰაეროვანი მტკიცედ მფლობელი;
შარავანდ გმირი, ორგულთ გამგმირი, მტერთა ქვესკნელად დამამხობელი;
რიტორი ბრძენი, მეფეთა ძენი, ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი.
მზრდელ არს მონათა, ზეცით მონათა ივლისის მზემან ზედ ლომთა ჯდომით.
ტომნი და ერნი, ყრმანი და მღვდელნი ადიდებდიან შვებით და ხლდომით;
არიან მხეცნი, მთანი და ბორცვნი, მაღნარნი, ველნი მისთვის შევრდომით.
შემუსრავს, შეფქვავს თხემსა ვის ერქვას ქურად ჩაფხუტი, ორგულთ მიწთომით.
თამარ მეფესა, მტერთ სისხლ მჩქეფელსა, უკვდავთ წყაროსა, ცის სამყაროსა,
სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა, კისკასად მქცევსა, ტანად საროსა,
მზედ სახოვანსა, თვით ახოვანსა, ერთგულთა ხსნილჰყოფს, მტერთ ფხაროსა.
უფალთ მთავარი, მჴერ სამთავარი, სამსაჯულოსა სრულად მათისა.
სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ჰზისა, მთავერად სწორავს არარატისა!
მადლისა პირი, სიბრძნის სადგური, მხედარი ღვთისა სამხატოვნისა;
უზვერლებითა, სუნნელებითა მსგავსი არს იგი სამიროსნისა;
ყნოსა შროშანთა, მღერა შროშანთა, ხმანი ცუდ იქმნეს საფიროსნისა!
ქვეყნისა ზღვარი, ჩრდილო და ბღვარი, დავლონ, ვის ძალუცს მისებრ პოვნისა?!
ძირით მისისა იესესისა შვილი მართალი იშვა ცხოვრებად,
ქალწულ წმიდისს წილხდომილისა საქართველოსა მეფედ წოდებად,
სვეტად სჯულისად, ზღუდედ სულისად, აგარის ერთა ცეცხლთა მომდებად...
დოვლათ სვიანად, სუფევს მზიანად შვიდთა მნათობთა გარმოზღუდვითა.
განათლდა არე მისთვის, ვით მთვარე, როს განხმილიყოს ცანი ხომითა.
ხილვა მეფისა მჭვრეტელთ ეფისა, თვალნი მაღნიტზედ ფოლადობითა,
ლხინად გვეყოფის, არ გაგვეყოფის, არს მიწყივ შვებით და განცხრომითა...
ესა მართალი ეს სამართალი: ხეს შეიქმს ხმელსა წყალ-მიმდინარედ *)

აქვს სასოება, სათნოება, სარწმუნოება სიყვარულითა, მადლთა ტალანტი, ქველის საქმე. ჰმთავრობს და უფლობს და ათავისუფლებს. სახითა ტურფა, სიბრძნისა სირი, სწავლისა სირი, ზენით მოვლენილი ბრწყინვალე სანთელი, სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი, სულისა ქნარი; მამის ძედ არი სამგზის ნეტარი, თვით ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი, არ გასტეხს ფიცსა თვით დანამტკიცსა: ჰე ჰედ იყოსა ანუ თუ არად, სწავლისა მოძღვარი, უცხოთ მოყვარე, გლახაკთ მოწყალე, მსჯელი მსჯავრისა და სიმართლისა. ქართველთ კეისრი, რომელს ჰყავს გუნდ მწყობრი დასი (ლაშქარი) ბევრ ათასი.

თვალი ხარ ბრმათა, თვით მზდელი ყრმათა, მშიერთა პური, უსახლთ-სართული;
მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა, შიშველთ სამოსლად მონიჭებული;
მოხუცებულთა, შრომით რებულთა სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი;
მოგვფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა თვით განგვიმარტებ, მადლთა მთხრობელი.
ძირ-მტკიც, გოდლად, ზედ-კართა ზღრუბლად ცის კამარათა, ჰჩანხარ ზესთ მდგვად,
ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოსხლავ, ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად.

შავთელი ასწერს თამარ მეფის შესამოსელსაც და სიმდიდრესაც.

შესამოსელნი, შესამკობელნი გმოსიან ტანსა ოქრო-ნემსულნი;
გვირგვინ სკიპტრანი, ბისონ მიტრანი ძოწეულთა თანა შექსულნი;
გაქვსღა პორფირთა, შთაცმა პოდირთა სამარაგდონი ერთგან ექსულნი;
დიადიმითა, დიად იმითა ზეგარდამო გაქვს წმიდად ექსულნი.

ვინცა იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი გოარი მათგან დანათვალისა. რიყე თვალისა წინ ნათალისა; სჩანს მარგალიტი ოდენ ბურთისა საბურთალისა. აქვს ზარდახჩანი ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალითა. *)

ჩახურახაძეც იქიდამვე იწყობს, საიდამაც შავთელი და რუსთაველი.

თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა, ლელწამ-ტანოვანსა, ლაწვ-მწყაზარსა, თამარ მზესა, რომელს ცისკრობენ ლაწვნი. ამისი ტურფობს მოხედვა, ბროლ ვარდობს ყელი, ვინაითგან იგია

თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა ნარნარი, პირ მცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მტკნარი მოდინარი,
მისთვის ქნარი,—რა არს ქნარი? არსით მთქნარი, უჩინარი,
ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი, ლაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი.

ყველა ამას შენ როგორღა გაუჩუმდები, გენიოსო რუსთაველო, უდიდებულესო მამულისშვილო და ქართულის ენის მბრძმედო?!.

და არც უჩუმდება. ჰხედავს იგი საქართველოს დიდებას. ჰკითხულობს იგი თავისს თანამედროვეთ ნაწერებს და მასაც წაჰსქდება ანკარა ნაკადული: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“, რომელია „სისხლისა ცრემლ დათხეული“, გარნა „არ ვიცი“, როგორ „შევკადრო ხოტბა ხშირი“; თვით შავთელიცა და ჩახრუხაძეც ბრძენ ფილოსოფოსებითურთ ვერ ჰკისრულობდნენ თამარის ქებას, გარნა მაინც „ხელჰყვეს კადრებად“ და აქეს მათ, ხოლო „თქმა ლექსებისა ტკბილისა“ ვერ შესძლეს და აი ახლა ეს საქმე დამავალეს მე და მიბრძანეს „ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა, ბროლ-ბალახშისა თლილისა, ლაწვ-ბალახშ, თმა-გიშერისა“.

მ. გიორგიძე

(შემდეგი იქნება)

*) შეადარე: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

*) შეადარე აღწერა ტარიელის სასახლისა: „ვინცა ჰქმნა რიცხვი ოქროსი, ვერვისგან დანათვალისა. მუნ რიყე თვალისა ხელწმინდათ განათალისა. ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა. ჰპოვეს ერთი ზარადხანა აბჯრისათვის ახლად ქმნილი“.

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის" მე-45 №-ში დაბეჭდილ წერილში: „კრება ქუთ. სამ. საზ. განყოფილება"-ში შეცდომით დაბეჭდილია „დამუშავებული ადგილი მცირედის სივრცისა არის, სულ 93 დესეტინა." უნდა იყოს: „$9^{1}/_{3}$ დესეტინა".

## საგანგებო კრება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურებისა 105 წარმომადგენელის ამოსარჩევად.

28 თებერვალი.

ამ დღეს თავად-აზნაურობა შეიკრიბა დეპუტატთა კრების დარბაზში 11 საათზედ; ამ დროს მობრძანდა აქ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი, რომელმაც თავად-აზნაურობას მიჰმართა მოკლე სიტყვით და რჩევა-დარიგება მისცა, რომ მან წარმომადგენელების ამორჩევის დროს იხელმძღვანელოს არა რომელისამე პირადის ან დასის ინტერესით, არამედ მთელის საზოგადოების სარგებლობითა და სიკეთით. იმედი მაქვსო, სთქვა ბ-ნმა გუბერნატორმა, რომ ღირსეული თავად-აზნაურობა თავისდა სასახელოდ და სასარგებლოდ გზას არ აუხვევს კეთილშობილურ მიმართულებას. შემდეგ ბ-ნი გუბერნატორი და მთელი თავად-აზნაურობა გაემგზავრა საკათედრო ტაძრისაკენ, სადაც ფიცი მიიღეს; ფიცის მიღების შემდეგ თავად-აზნაურობა დაბრუნდა დეპუტატთა საკრებულოში და კრება მეორე დღისათვის გადიდო.

კრება 1-ს მარტს.

კრება მოხდა საქალაქო თეატრში. თეატრი გატენილია ხალხით; აქა-იქ ქალებიც მოსჩანან. თავმჯდომარეობს გუბერნიის მარშალი თ. ს. გ. წერეთელი, რომელიც უცხადებს კრებას, რომ ვისაც მონაწილეობის უფლება არა აქვს, ვთხოვ გარედ გავიდესო.

შემდეგ წაიკითხეს საჩივარი პრაპორშჩიკის ჩიქოვანისა, რომელიც უჩივის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულოს, რომ მას არა აქვს უფლება შეასწოროს და შეამოწმოს სია სამეგრელოს თავად-აზნაურთა, რადგან ეს სია შემოწმებულია თავად-აზნაურების სამაზრო კრებაზეო. დეპუტატთა კრებას ეს საჩივარი უყურადღებოდ დაუტოვებია.

თ. მ. გ. ფაღავა. ნება მიბოძეთ მაგ საგნის შესახებ სიტყვა მოგახსენოთ.

თავმჯდომარე. ამ საგნის შესახებ ლაპარაკის ნებას არავის ვაძლევ.

თ. ფაღავა ხელმეორედ ითხოვს ნებას და სცდილობს ილაპარაკოს, მაგრამ თავმჯდომარე ზარსა ჰრეკს და ნებას არ აძლევს.

თ. მ. გ. ფაღავა. აგეთი გარდაწყვეტილება დეპუტატთა კრებისა შედეგია კანონის უცოდინარობისა.

თ. დ. ო. ნიჟარაძე. (ქუთ. მაზ. მარშალი). მე ვთხოვ ბ-ნ მღივანს ოქმში აღნიშნოს ბ-ნ ფაღავას სიტყვები, რომლითაც იგი უმართებულოდ იხსენიებს საზოგადოების თავმჯდომარეს.

კნ. ნ. ჩიკვაიძე. გთხოვთ მეც აღმინიშნოთ ოქმში, რადგანაც მეც მაგ აზრისა ვარ და იგივე უნდა მეთქვა, რაც თ. ფაღავამ სთქვა.

დ. თ. ლოლუა. მე ვთხოვ ბ-ნ მარშალს, მოახსენოს თავად-აზნაურობას გარდაცვალება მთავარ-მართებლის თანაშემწედ ნამყოფის თ. სვიატოპოლ-მირსკისა, რომელიც კარგა ხანს ჩვენს ქვეყანაში ჰმსახურობდა და კარგი სახელი დატოვა. საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მიცვალებულს და დაადგინა სამძიმრის წერილი მიეწეროს თავად-აზნაურობის სახელით მიცვალებულის შვილს.

თავმჯდომარე. რა დანიშნულება მივცეთ იმ ფულს, რომელიც უნდა დაუბრუნდეს ბანკიდგან თავად-აზნაურობას 25 წლის განმავლობაში? (450,000 მ.). ამ ფულის გამოტანა თითოეულის ჩვენგანისაგან და კერძო საჭიროებისათვის მოხმარება დიდი სირცხვილი იქნება ჩვენის საზოგადოებისათვის; ამისთანა მოქმედება იქნება ღალატი ჩვენის წინაპრების კეთილშობილურის ანდერძისა: იმათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ეს ფული მოხმარებოდა ჩვენის მომავალის თაობის სწავლა-განათლების საჭიროებას; მე გთხოვთ და გირჩევთ, ნუ ვუღალატებთ ამ გონივრულს დანიშნულებას. დეპუტატების კრებამაც დაადგინა, ეს ფული დარჩეს ხელუხლებლივ და მოხმარდეს სწავლა-განათლების საჭიროებას; ხოლო სად შევინახოთ ეს თანხა, როგორის ტიპის სასწავლებელს მოვახმაროთ, ან რამდენი წლის განმავლობაში მივიღოთ და სხვა ამ გვარ კითხვების გამოსარკვევად და გადასაწყვეტად ამოვარჩიოთ კომისია მცოდნე კაცთაგან, რომელნიც მომავალ ჩვეულებრივ კრებას მოახსენებენ თავიანთ მოსაზრებას ამ ამ საგნის შესახებ.

ამორჩეულ იქმნენ თვითეულ მაზრიდგან სამ-სამი კაცი, რომელთა შორის ერთი პედაგოგია.

შემდეგ თ. ნ. ყ. თავდგირიძემ წაიკითხა გურიის თავად-აზნაურთა გარდაწყვეტილება, რომ გურიის თავად-აზნაურობამ ერთხმივ დაადგინა კერძო კრებაზედ, რომ არც ერთი კაპეიკი არ წაიღოს ამ თანხიდგან და მთლად იგი მოხმარდეს მარტო სწავლა-განათლებას. ეს სამაგალითო და ფრიად გონივრული გარდაწყვეტილება აღტაცებულის ტაშის კვრით მიიღო მთელმა საზოგადოებამ და ერთხმად მხარი დაუჭირა გურიის თავად-აზნაურობას.

დ. თ. ლოლუა. ჩვენს გარდაწყვეტილებას, რომ ეს ფული ჩვენის შვილების სწავლა-განათლებას მოხმარდეს, სავალდებულო იურიდიული ძალა არა აქვს ყველასათვის, მაგრამ არის მეორე ძალა, ე. ი. ძალა ზნეობრივი, რომელიც გვაიძულებს და ვალდებულ გვხდის ყველას, დავემორჩილოთ საზოგადოების გარდაწყვეტილებას და არ ვუღალატოთ მამა-პაპის წმინდა ანდერძს, რომლის ძალით ეს თანხა ხმარდებოდა სწავლა-განათლების გავრცელებას. მე სრული თანახმა ვარ დეპუტატთა გარდაწყვეტილებისა.

დ. ა. ლორთქიფანიძე. ჩვენს გარდაწყვეტილებას რომ იურიდიული და მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, მივმართოთ უმორჩილესის თხოვნით ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორს და ნება ვთხოვოთ, რათა ეს თანხა უკვდავი იყოს და მისი სარგებლი მოხმარდეს ჩვენის შვილების სწავლა-განათლებას.

თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე. და ამ თანხას დავარქვათ სახელად: „თანხა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა", მისის მოღვაწეობის და დიდებულის სახელის პატივსაცემლად, რადგან თვით ჩვენი ბანკი იწოდება მისის სახელით.

ეს რჩევა მთელმა კრებამ ერთხმად მიიღო.

თ. ნ. ყ. თავდგირიძე. უნდა ვეცადნეთ, რომ ეს ფული საიმედო ადგილს იყოს მოთავსებული, რომ მისი არსებობა ყოველ ეჭვს გარეშე იყოს და სამუდამოდ დაზღვეული ყოველის ხიფათისაგან. ან ეხლა ეს თანხა საიმედო მდგომარეობაშია, თუ არა? ე. ი. ბანკს შეუძლიან უკლებლივ დაგვიბრუნოს თუ არა?

კ. ნ. ჩიკვაიძე. ბანკის ანგარიშს ყოველ წელიწადს ვგზავნით სამინისტროში და თუ-კი ამ თანხის მდგომარეობა საიმედო არ იყოს, სამინისტრო როგორ მოგვწერდა ფულის დაბრუნებას.

დ. თ. ლოლუა. უხერხულობა არ მოგვივიდეს, როცა ხელმწიფე იმპერატორს თხოვნას მივართმევთ ამ თანხის შესახებ. შეიძლება გვითხრან: ფული თქვენი საკუთრებაა და ნებართვის აღება რაღა საჭიროაო?

ამ აზრის თანახმაა ბ-ნი დ. ნ. აბდუშელიშვილიც.

მ. ა. ქიქოძე. ბანკიდგან ფულის დაბრუნება სხვა-და-სხვა პირობებით არის გარემოცული; საჭიროა ეს პირობები საზოგადოებამ გაიცნოს და გაითვალისწინოს:

თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე. ბ-ნ თავდგირიძის შიშს აქვს თავისი საფუძველი. მე საჭიროდ მიმაჩნია ეს თანხა (450000 მ.) გადავაქციოთ სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებად და სახელმწიფო ბანკში შევინახოთ.

თ. დ. დადიანი. ეს ფული კერძო საკუთრებაა თვითოეულის თავად-აზნაურისა, იქნება მე არა მსურს, რომ საზოგადოებას შევსწირო.

თ. კ. დადიანი. (ძმა პირველისა). აქ საზოგადოების სურვილის წინააღმდეგობა არ ვარგა. მთელმა საზოგადოებამ რომ გადაწყვიტოს, სახრჩობელაზედ შადიო, უნდა წავიდე. (ტაშის ცემაა)

თ. კ. აბაშიძე. მე არ შემიძლიან არ გამოვაცხადო ჩემი განუსაზღვრელი სიხარული იმ გონივრულის გარდაწყვეტილების გამო, რომელიც ეხლა აქ მოხდა. ბ-ნმა მ. ა. ქიქოძემ სთქვა, რომ ბანკიდგან ფულის დაბრუნება გარემოცულია რაღაც პირობებითაო. ვსთხოვ ბანკის გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს, აგვიხსნას, რა პირობებია ეს პირობები, ან რანაირი დადგენილებაა სახელმწიფო საბჭოს და სამინისტროსი ამ საგნის შესახებ.

ეს სურვილი არ იქმნა დაკმაყოფილებული.

შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომელ მაზრას რამდენი წარმომადგენელი და მათი კანდიდატი ეყოლება.

| | | წარმომადგენელი | კანდიდატი. |
|---|---|---|---|
| ქუთაისის მაზრას | | 20 | 3 |
| შორაპნისას | „ | 20 | 2 |
| სენაკისას | „ | 16 | 2 |
| ზუგდიდისას | „ | 15 | 2 |
| ოზურგეთისას | „ | 14 | 2 |
| ლეჩხუმისას | „ | 10 | 2 |
| რაჭისას | „ | 10 | 2 |

ხვალ იქნება არჩევანი წარმომადგენლებისა.

## წერილი აფხაზეთიდგან

ორი კვირა იქნება, რაც სოხუმში იმყოფებოდა ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწე გენერალ-მაიორი ბ. სამოილოვი, რომელიც იმისთვის იყო მოსული, რომ გადაესინჯა ყველა საქმეები სოხუმის საოლქო სამართველოსი და აგრეთვე სოხუმის ოლქის ნაწილების სამმართველოთა. 18 თებერვალს ბ-ნმა სამოილოვმა, სხვათა შორის, დაათვალიერა დრანდის სასოფლო სამმართველო, საერო სადარაჯო, მონასტერი და სასოფლო ქსენონი. ქსენონში ყურადღება მიაქცია ორ ტახტს, რომელიც თვით ავადმყოფთათვის არის დადგმული, და იკითხა—რატომ ავადმყოფებს არ აწვენთ ამ ტახტებზედო?

შემდეგ ბ-ნი სამოილოვი გაემგზავრა ოჩამჩირისაკენ ხმელეთით, მიუხედავად იმისა, რომ ეხლა მგზავრობა აქეთკენ დიდად ძნელი და გასაჭირია, რადგან გზები არ არის და დიდი ტალახი დგას. ბ-ნმა სამოილოვმა ყურადღება მიაქცია გზების უვარგისობას და შეეკითხა გუმისთისა და კოდორის ნაწილის უფროსებს, რათ არ ზრუნავთ გაფუჭებულ გზების შეკეთებისთვისაო.

ამ მოკლე ხანში სოფ. დრანდის მამასახლისმა ერთი სრულიად უპატრონო და ღარიბი ავადმყოფი რუსი მიიყვანა დრანდის სასოფლო ქსენონში და სთხოვა ფერშალს, რომ მიეღოთ და პირველი შემწეობა აღმოეჩინათ. ქსენონის ფერშალმა კოროლიოვმა უარი უთხრა მამასახლისს: ქსენონის მკურნალისაგან ნება არა გვაქვს, რომ ავადმყოფი მივიღოთო. მაშ რად არის ტახტები ქსენონში, ანუ თვით ქსენონი რაღასთვის არსებობს, თუ ასეთ გაჭირვებულს უმწეო ავადმყოფს არ მიიღებთო? შეეკითხა ფერშალს მამასახლისი. გამოიტანეთ ნება-რთვა მკურნალისაგან და მაშინ მივიღებო, უპასუხა ფერშალმა. ქსენონის მკურნალს საცხოვრებელი ბინა სოხუმში აქვს და, რწმუნებული მისდამო სასოფლო ქსენონი კი 17 ვერსის მანძილზედ არის მისგან. ქსენონს ბ-ნი მკურნალი თვეში ორ-სამ ჯერ დახედავს და ავადმყოფებსაც მაშინ მიიღებს, რასაკვირველია, თუ ღმერთმა ჰქნა და კარგი დარები დადგა, თორემ წვიმიან დღეებში იგი ადგილიდგან არ დაიძვრის და ხშირად ორი თვეც გასულა, რომ მკურნალი დრანდაში არ მისულა. ეხლაც ბ-ნი მკურნალი სოხუმში ბრძანდებოდა მოსვენებით და აქ-კი საწყალი ავადმყოფი წვიმისა და თოვლისაგან იყინებოდა და სიკვდილს ებრძოდა. მამასახლისიც დარწმუნდა —მკურნალისათვის რომ მიემართნა, ვერც იმისგან მიიღებდა კმაყოფილებას, რადგან ასეთი მაგალითები ხშირია აქ, და ეს გაჭირვებული ავადმყოფი ისევ გუმისთის ნაწილის უფროსს წარუდგინა სოხუმში და რაპორტით აცნობა ყველაფერი. ბ-ნმა ნაწილის უფროსმა ეს ავადმყოფი სამხედრო ლაზარეთში მიაღებინა, მაგრამ საწყალმა, ისედაც მისუსტებულმა, ფილტვების ანთებისაგან ამდენი თრევა სიცივეებში ვერ აიტანა და მეორე დღესვე სული განუტევა.

აი, ასეა საქმე მოწყობილი ჩვენში. საწყალი, ოცის წლის ახალგაზდა ყმაწვილი, უდროოდ მოშორდა წუთი-სოფელს, რადგან დროზედ დახმარება არ ეღირსა იმისთანა დაწესებულებისაგან, როგორიც არის სასოფლო ქსენონი.

აფსუა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. გუდისი,** (გორის მაზრა). 17 თებერვალს გუდისში საშინელი უბედურება დატრიალდა: ნაშუადღევის სამი საათის იქნებოდა, როცა მთიდგან თოვლის ზვავი დაეშვა, ერთ უბანს დაეცა და რაც-კი წინ დახვდა, სულ მიწასთან გაანადგურა. დაიღუპა სრულიად ლოტო ბესთავაშვილის ოჯახი, რომელიც შესდგებოდა რვა სულისაგან. ყოველი შენობა და რაც კი რამ გააჩნდა საცოდავ ოჯახს—საქონელი და სხვა, სულ ერთიანად გაანადგურა ზვავმა. რვა ადამიანიდგან სამი ცოცხალ-მკვდარი ამოიღეს თოვლ-ქვეშიდგან, ხუთი გვამი-კი უსულოდ იპოვნეს, საშინლად დასახიჩრებული. ლოტოს შვილი გაბუ ბესთავაშვილი სხვაგან ყოფილიყო, და ამ შემთხვევას გადარჩა, ცოლშვილი-კი ერთ წუთს ამოუწყდა და საცხოვრებელიც დაჰკარგა. ლოტოს სამი სხვა მეზობელიც საშინლად დაზარალდა. სახლ-კარი, ბოსლები, საბძლები, საქონელი და სხვა, რაც რამ ებადათ, სულ გაანადგურა ზვავმა. საცოდავებს სულის მეტი აღარა შერჩენიათ. თითონაც შემთხვევით გადარჩნენ, მეზობლებში ყოფილიყვნენ დაპატიჟებულნი და ამ ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა ისინი. როგორც პოლიციის ოქმიდგანა სჩანს, ზარალი 600 თუმანს აღემატება. გუდისელები საშინლად შეშინებულნი არიან ამ შემთხვევის შემდეგ. შიშის ზარმა რამდენიმე ადამიანი ჭკუაზედაც შეშალა.

გზები საშინლად გაფუჭებულია; მისვლა-მოსვლა გაძნელდა, ავადმყოფობაც (სურდო-ხველა) გახშირდა, ქურდობაზედ ხომ აღარას ვიტყვი, რადგან ეს სამარცხვინო საქმე აქეთკენ ბევრმა ხელობად გაიხადა. ცოტა ხანს ამ უამინდობამ შეაჩერა ქურდები, მაგრამ გამოიდარებს თუ არა, მაშინვე ნავარდობას დაიწყებენ.

ახლა კარგი მზიანი დღეები სდგას; თოვლი დნება და გზები ტალახისაგან ჩქარა სრულიად გაუვალი შეიქნება.

წრომელი

## რუსეთი

მიწად-მოქმედების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დიდ ვადიანი სესხი მიეცეთ იმ სახალხო სკოლების მასწავლებელთ, რომელნიც თანხმანი არიან სასოფლო-მეურნეობას მიჰყონ ხელი.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მომავალ ზაფხულს ზოგიერთ გუბერნიებში გამართულ იქმნება მეფუტკრეობის კურსები. ამას გარდა დაარსებული იქმნება ქ. კიევში მეფუტკრეობის სკოლა.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დრო გამოშვებით გამართულ იქმნას ხოლმე მაზრებში სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრებები.

— იმავე სამინისტროს აზრადა აქვს გაამრავლოს სახალხო პირველდაწყებით სკოლების რიცხვი იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არ არის შემოღებული.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, საარქეოლოგო

კომისიას გარდაეცა ხაზინიდგან 13 ათასი მანეთი პროფ. ნ. ი. ვესელოვსკის თხზულების გამოსაცემად. ამ თხზულებაში აწერილია ქ. სამარყანდის მეჩეთები. უნდა გამოსცენ ჯერ-ჯერობით ერთი ნაწილი ამ თხზულებისა; მთელ თხზულების გამოცემას დასჭირდება 100,000 მანეთი.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** თოფის წამლის ქარხნის აფეთქებამ ტულონში, როგორც მოსალოდნელი იყო, ათას გვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საფრანგეთის საზოგადოებაში, უფრო-კი ერთგნულ დასის ჟურნალ-გაზეთებში. „Patrie" გადაჭრით ამტკიცებს, რომ აფეთქება გერმანელებმა მოახდინესო. ეს ბოროტ-მოქმედება საზღვარ-გარედ თუ შემზადდა, ამბობს მილვუა, ერთი უცხო სახელმწიფოს ბრძანებით თუ იყო იგი ჩადენილი, საფრანგეთმა თავი მაღლა უნდა აიღოსო. ამდენი უდანაშაულო კაცის სისხლი მხოლოდ სისხლითვე გამოისყიდებისო.

**იტალია.** ამას წინად გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ წრეულს გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი რომში აპირებს წასვლასაო. ეხლა იტალიის გაზეთები სიხარულით აღნიშვნენ, რომ იმპერატორი არ მოდის რომშიო. სარწმუნოდ ამ სიხარულს იტალია-საფრანგეთის ერთმანეთთან დაახლოვება უძევს. ხსენებულ გაზეთების სიტყვით, იტალიას გულწრფელად სურს საფრანგეთთან ძველ-მეგობრობის აღდგენა, რასაც ძლიერ დიდს პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს, და ამიტომ დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რომ რაიმე გარემოებამ არ ავნოს ამ საქმეს. გერმანიის იმპერატორის მისვლა რომში ამ ჟამად იტალიის ინტერესებისთვის უფრო საზიანო იქნებოდა, ვიდრე სასარგებლოდ. ამიტომ იტალიისათვის სწორედ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოსო, დასძენენ იგივე გაზეთები, რომ იმპერატორს აღარ მოუხდება რომში მოსვლაო; იტალიელები თუმცა დიდს პატივს სცემენ ვილჰელმს, მაგრამ იმისი მოსვლა იტალიაში ეხლა ვერაფერი სასიამოვნო იქნებოდაო.

**სერბია.** ამ დღეებში სერბია დღესასწაულობდა წლის თავს სერბიის სამეფოდ გამოცხადებისას. როგორც გაზეთები იუწყებიან, რუსეთის ელჩი ბ ნი ჟადოვსკი, რომელიც სადღესასწაულო წირვას დაესწრო და სასახლეშიაც იყო სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთა შორის მეფის წინაშე წარსადგომად, მთავრობას სადილზედ არ მიუწვევია, როგორც ამნაირს შემთხვევებში ჩვეულებად არის ხოლმე. ჟადოვსკის მაშინვე უცნობებია სერბიის მთავრობისათვის, რომ ასეთის უყურადღებობისა და დიპლომატიურ წეს რიგის დარღვევის გამო ბელგრადიდგან მივდივარო. ჟადოვსკიმ საელჩო ჩააბარა საელჩოს უფროს მდივანს მანსუროვს, რომელიც სერბიის გარეშე საქმეთა სამინისტროში მისულა. სერბიის მთავრობა იმით მართლულობს თავს, რომ არ გვინდოდა რუსეთის ელჩი მილანს შეხვედროდა სასახლეში, რადგან რუსეთის მთავრობა იმ აზრს ადგია, რომ მილანი უკანონოდ სცხოვრობს სერბიაშიო.

იმავე დღეს, ე. ი. სერბიის სამეფოდ გამოცხადების წლის თავზედ, ერთი ინციდენტი კიდევ მომხდარა ბელგრადის სამეფო სასახლეში. ოსმალეთის ელჩს, დაუნახავს-რა, რომ უცხო ქვეყნების წარმომადგენელთა შორის ბოლგარიის წარმომადგენელიც ურევია, სასახლიდგან წასულა ოსმალეთის საელჩოს დანარჩენ მოხელეებით.

**ოსმალეთი.** გაზეთების სიტყვით, ამას წინად, სელემლიკის შემდეგ, ხონთქარს უნახულებია ინგლისის ახალი ელჩი ო'კონორი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონია. ხონთქარს სურვილი გამოუთქვამს, რომ ძლიერ კარგი იქმნება, ისევ განახლდეს ოსმალეთსა და ინგლისს შორის მჭიდრო მეგობრობა, რომელიც სხვა-და-სხვა გარემოების წყალობით უკანასკნელს დროს შესუსტდაო. ელჩს უპასუხნია ხონთქრისთვის, რომ ინგლისს არასოდეს არა ჰქონია მხედველობაში, ოსმალეთისთვის რაიმე დაბრკოლება აღმოეჩინა მაკედონიაში ან სხვაგან სადმეო. ო'კონორს თავისს მხრივაც გამოუთქვამს სურვილი, რომ ოსმალეთი და ინგლისი მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ეს კავშირი ორთავე სახელმწიფოსთვის საჭირო არისო, უთქვამს ელჩს; ინგლისს დიდს სარგებლობას მოუტანს იგი, რადგან ინდოეთში მრავალი მაჰმადიანი სცხოვრობსო.

# დამავიწყდა

კაცსა ბედი ვერას არგებს,
თუცა ღმერთი არ ეწყოსა.

ვახტანგ VI

* * *

თუ ზღვასა წყალი არ შესდის, იგიც დაშრება, ვიცით.

სულხან საბა

* * *

თუმცა-და კაჭრობა დამყარებულია ქონებრივს ანგარიშზედ, გარნა ყოველთვის იგი იყო უძლიერესი ბოძკინტი ცივილიზაციისა.

გეორგ ვებერი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ ამ ჟამად ყოველ წელიწადს ადამიანი ერთი შვიდად მეტს ოქროსა ჰპოულობს დედ მიწაში, ვ დრე ამ საუკუნის მეორმოცე წლებში ჰპოულობდა. ხოლო თუ მეთექვსმეტე საუკუნეს შეადარეთ, აღმოჩნდება, რომ 50 ჯერ მეტს ოქროსა ჰპოულობს კაცი. ტრანსვაალში, შეერთებულ შტატებში და ავსტრალიაში ყოველ წელიწადს ას მილიონობით ჰპოულობენ ოქროს. მაგრამ მიუხედავად ამისა ოქროს ფასი არ აკლდება.

1848 წ. ადამიანს უპოვნია სულ 5 მილიონ მანათის ოქრო, 1897 წელს-კი 434 მილიონ მანათისა. თუ ასე წავიდა საქმე, სულ 30—40 წლის შემდეგ დედამიწის გულიდგან ადამიანი იმდენს ოქროს ამოიღებს წელიწადში, რამდენიც აქამდე ამოღებულა. მერე ვინ იცის, შეიძლება კიდევ ახალი მადნებიც აღმოჩნდეს ოქროსი. მაგრამ როცა იქმნება, ხომ ოქროც გამოილევა და თუ ადამიანმა არ გამოიგონა ხ ე ლ თ - ქ მ ნ ი ლ ი ოქრო, მაშინ, ეჭვი არ არის, რომ ოქრო ძლიერ დაძვირდება.

* *

ვენაში ერთს სამეცნიერო საზოგადოების კრებაზედ წაკითხულ იქმნა საყურადღებო მოხსენება ერთის მეცნიერისა. ეს მეცნიერი ამტკიცებს, რომ ზანგებსა დ ინდიელებს ძლიერ უყვართ თიხა მიწის ჭამა. გარდა ამისა დამტკიცებულია, რომ გერმანიაშიაც მადნების მუშები თიხა მიწასა სჭამენ. სპარსეთშიაც სჭამენ თურმე ერთგვარ თიხას. მალაის კუნძულებზედ ზოგიერთ დუქნებშიაც-კი ჰყიდიან საჭმელ თიხას. თიხასა სჭამენ აგრეთვე ჩინეთისა, ახალ კალედონიისა და ახალ გვინეას ზოგიერთ ადგილებში. ჰუმბოლდტი სწერს, თიხის მჭამელი კაცი ამერიკაში ვნახეო. ზოგიერთ ველურ ტომთა შორის დედაკაცები ორსულობის დროს თიხასა სჭამენ, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ ამით მშობიერობას გაიადვილებენ.

* *

ამერიკასა და ესპანიას შორის მომხდარ ომის დროს რამოდენიმე კაცი ჭკუაზედ შესცდა. როსტონის სულის ავადმყოფთა სამკურნალოში არის ორი ავადმყოფი. ერთს თავისი თავი ადმირალ დევიდ მიაჩნია, მეორეს ადმირალ სამპსონად, ოთხს კაცს კიდევ თავიანთი თავი ლეიტენანტ გობსონად მიაჩნიათ. არის კიდევ რამდენიმე სულით ავადმყოფი, რომელთა შორის ზოგს თავისი თავი შტატების პრეზიდენტად მაკ-კინლეით მიაჩნიათ, და ზოგს ბრაიანად, რმელმაც პრეზიდენტის არჩევის დროს ყუთი დაიდგა, მაგრამ მაკ-კინლეის მიერ დამარცხდა. რაღა თქმა უნდა, რომ ჭკუაზედ შემცდარ რესპუბლიკელთა შორის არიან ისეთნიც, რომელთაც თავიანთი თავი ხელმწიფეებად მიაჩნიათ. ერთი ამტკიცებს, რომის პაპი ვარო დ შვიდს სულით ავადმყოფს თავიანთი თავი გერმანიის იმპერატორად მიაჩნიათ.

## ძველი სენაკის ამხანაგობის („შუამავალის") წევრთა საყურადღებოდ.

რადგან ძველი სენაკის ამხანაგობის „შუამავალის" მმართველმა არ მოიწვია საზოგადო კრება, იძულებული ვარ გაზეთის საშუალებით ვაუწყო აღნიშნულ ამხანაგობის წევრებს, რომ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო ამხანაგობის მოლარის თანამდებობას თავს ვანებებ. როგორც რევიზიამაც აღმოაჩინა, ამხანაგობის საქმე ჩინებულად მიდის და ნურავინ იფიქრებს, საქმის შეფერხება იყოს მიზეზი თანამდებობიდგან ჩემი გადადგომისა. რადგან ამ დღიდგან ვსპობ მე ყოველსავე მუშაობას ამ საქმეში, იმედი მაქვს, რაც შეიძლება ჩქარა მოხდება კრება, რომელიც ანგარიშს ჩამოართმევს და აირჩევს საიმედო მოლარეს, რომ ბოლო არ მოეღოს კეთილ საქმეს.

ლევან ქავთარაძე

# დეპეშა

3 მარტი.

**პეტერბურგი.** 3 მარტს დედოფალმა იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა და თვალიერა ალექსანდრეს ინსტიტუტი.

**3 რშავა.** საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში ლექციების კითხვა განახლებულ იქმნა; ხვალ ლექციების კითხვას განაახლებენ უნივერსიტეტსა და საბეითალო ინსტიტუტში.

**ჰააგა.** ჰააგაში განზრახულ მომავალ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი ევროპის სახელმწიფოთა, შეერთებულ შტატებისა, ჩინეთისა, იაპონიისა, სპარსეთისა და სიამისა. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ სახელმწიფოთა სიას რუსეთი შეატყობინებს ნიდერლანდიის მთავრობას, რომელიც შემდეგ მისაწვევ ბარათებს გაუგზავნის ყველა სახელმწიფოს.

**ლონდონი.** როგორც „Times"-ი იუწყება, ინგლისის ელჩი მაკდონალდი იძულებულია, ავადმყოფობის გამო, დროებით სამსახურს თავი დაანებოს.

## ზემო წირულება

რედაქციამ მიიღო ვლადიმერ ყიფიანისაგან 5 მანეთი მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის განსაახლებელ ფონდის სასარგებლოდ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" გამგეობამ მიიღო 1899 წლის იანვრის და თებერვლის თვეების განმავლობაში.

1) საწევრო ფული

1) თ. თათარყან თენგიზის ძე დადეშქელიანისაგან 6 მ., 2) შიო ზაქარიას ძე დედაბრიშვილისაგან 6 მ., 3) იდუმენია ნინოსაგან 6 მ., 4) ბესარიონ ვასილის ძე ლოსაბერიძისაგან 6 მ., 5) თომა ზაქარიას ძე ნასიძისაგან (ნაწილი) 1 მ., 6) მღ. კალისტრატე ცინცაძისაგან 6 მ., 7) ტარასი ლეონტის ძე ჭიჭინაძისაგან 6 მ. სულ 37 მან.

2) ყულაბებით შეგროვილი ფული

1) კნ. ბარბარე გიორგის ასულის ბარათაშვილისაგან № 100. 16 მ. 63 კ., № 101. 50 მ. 90 კ., № 102. 19 მ. 23 კ., № 103. 3 მ., № 104. 5 მ. 22 კ., № 105. 5 მ. 77 კ., № 106. 6 მ. 87 კ., № 107. 11 მ. 40 კ., № 110 19 მ. 97 კ., № 113. 5 მ. 62 კ., № 114. 71 კ., № 117. 87 კ., № 119. 5 მ. 08 კ., 2) ნინა მაჭავარიანისაგან № 153, 25 მ. 60 კ., 3) ალექსანდრე ნადირაძისაგან № 185, 4 მ. 75 კ., 4) დიმიტრი ნადირაძისაგან № 186. 3 მ. 60 კ, 5) ლევან ანტონის ძე ფურცელაძისაგან № 183. 5 მ. 32 კ., 6) ელისაბედ ჩერქეზიშვილისაგან № 73. 1 მ. 79 კ., 7) ანნა ივანეს ასულის ჯმუხაძისაგან № 78. 11 მ. 86 კ. სულ 204 მ. 19 კ.

3) შემოწირულობა

Надежда-ს დამზღვევის საზოგადოების აგენტის ივანე ჯაბადრისაგან 450 მან.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ.

## წერილი რედაქციის მიმართ

წარსული წლის „ივერიის" მე-262 ნომერში დაბეჭდილი იყო ჯვარცხმის სამრევლო სკ. მასწ. ს. მგალობლიშვილის წერილი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ 1898 წ. 24 ნოემბერს სოფელს ჯვარცხმაში მცხოვრებს მე, კაპიტონ ჩხიკვაძეს, სრულიად გადამეწვა მთელი საცხოვრებელი და უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდნილვიყო. ბ-ნი კორესპონდენტი სთხოვდა ქველ-მომქმედთ, რომ რაიმე შემწეობა აღმოეჩინათ ჩემთვის და ცოტად თუ ბევრად გაეუმჯობესებინათ ჩემი მდგომარეობა.

ღმერთმა უშველოს ღვთის ნიერ ადამიანთ, რომ თანაუგრძნეს ჩემს გაჭირვებას და შეძლებისადაგვარად მაწოდებენ შემწეო[...] ამა წლის ოთხ თებერვალს მივიღე აქ[...] პოლიციის ბოქაულისაგან 52 მ. და 10 [...] შეგროვილი ფოთში ბ-ნ კოსტანტინე მ[...]რაძის მიერ. ეს ფული შემოსწირეს: [...]ტანტინე მახარაძემ—3 მ., სილოვან კ[...]რაძემ, ნიკო კილურაძემ, ამბაკო კილურ[...] ბეჟან თელიამ, გიორგი ნიკოლაიშვი[...] გიორგი საბახტარიშვილმა—ორ-ორი მ[...]თი; ალექსანდრე რატიანმა, ავქსენტი [...]გუამ, ბესარიონ ცეცხლაძემ, თეოფილე [...]წურეიშვილმა, კოსტანტინე რუხაძემ, ვა[...]თოფურიძემ, ანდრია ქვანიამ, პეტრე ქ[...]ეიშვილმა, კოსტა გოგვაძემ, შარვან [...]ვამ, პორფირე ასათიანმა, მანუჩარ [...]კიძემ, გერასიმე კანდელაკმა, ივანე ცელ[...]ესტატე სარიამ, ელიზბარ კედიამ, მლ.[...]ტენ ჩხაიძემ, თომა წერეთელმა, სტ[...]ურუშაძემ, ევგენ გაბუნიამ, ამბაკო ჩ[...]ტაძემ, ერასტო გუგუნავამ, ფარნა კობ[...]ძემ, მიხეილ მამალაძემ გიორგი კიკლაძ[...] თითო მანეთი; ივანე თურქიამ, 1 მ. 5[...] ნესტორ ჯიქიამ, მათე მამფორიამ, [...] მოსეშვილმა, როსტომ ქირიამ, იოსებ [...]ტნიცკიმ, გიგო სიხარულიძემ, ველ[...]აბუევმა, კოლა მაჭავარიანმა, დუტუ [...]ლიამ, ნიკო შავდიამ, პარმენ ჩიტიშვილ[...] გიგო ცხოიძემ, ვასო ფირალოვმა, მიხ[...] მაჭარაძემ, 1 ვინმე უცნობმა, 2 ვინმე [...]ნობმა, ივანე მამფირიამ, ლევან ჩხარ[...]შვილმა, რაჟდენ ბარელიძემ—ათ-ათი [...]რი; ლუკა მენაბდემ, ილიკო ლეჟავამ—[...]ექვსი შაური, სულ 52 მ. 10 კ.

უღულითადესს მადლობას ვუცხადებ კ[...]ტანტინე მახარაძეს ფულის მოგროვები[...]თვის და აგრეთვე იმათაც, რომელთაც შ[...]წეობა აღმომიჩინეს.

კაპიტონ ჩხიკვაძე


# განცხადებანი

**ვკისრულობ**

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებ[...] დაფასებას სოფლის მამულის წ[...]მოებისა,

რაც შეიძლება ჩქარა გასრულებ სა[...]მეს სესხის გატანისას როგორ[...] სამეურნეო, ისე საცტყეო სარგებლო[...]ბისათვის.

ალექსანდრე გრიგორის ძე სნე[...]კოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახ[...] № 26, ტელეფონი № 567.

(20—3—14)

დაიბეჭდა და გაიყიდება „წერა-კით. გამავრ. საზოგადოებ[...] მიერ გამოცემული

**საუმაწვილო მოთხრობან[...]**

ეკატერინე გაბაშვილისა.

ფასი 30 კაპ.



**თესლეულობათა დეპო**



გ. გ. ლ ა რ შ ე ს ი

(არსებობს 1872 წლიდგან)

მადათოვის კუნძულზედ, მაღაზია № 47.

**მიღებულია ახალი თესლეული**

საბოსტნე, სხვა-და-სხვა ყვავილებისა და ბალახეულობათა. პრეისკურანტ[ი] მსურველს უსასყიდლოთ გაეგზავნება. (10—22—7)

**იყიდება იაფად და პირიანად**

სხვა-და-სხვა საგალანტერეინო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

**მაღაზია № 21.**

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.

ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—6.—14) ი. ნიკოლაშვილი